SDG LENS
Monitoring Sustainable Development
in Eastern Europe & South Caucausus

მიმოხილვითი ანგარიში მდგრადი განვითარების მეოთხე მიზნის განხორციელების შესახებ

4 QUALITY EDUCATION

ავტორები:

მერი ქადაგიძე
განათლების კოალიციის მკვლევარი

გიორგი ჭანტურია
განათლების კოალიციის დირექტორი

პუბლიკაცია მომზადებულია SDG LENS-ის პროგრამის ფარგლებში - მდგრადი განვითარების მონიტორინგი აღმოსავლეთ ევროპასა და სამხრეთ კავკასიაში. ეს არის შესაძლებლობების განვითარების პროგრამა სამოქალაქო აქტორების, არასამთავრობოს სექტორის წარმომადგენლების, სათემო ინიციატივების, მკვლევარებისა და ექსპერტებისათვის სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ბელარუსიიდან, საქართველოდან, მოლდოვადან და უკრაინიდან. პროგრამა საშუალებას აძლევს სამოქალაქო აქტორებს „2030 წლის დღის წესრიგის“ მონიტორინგისა და ადვოკატირებისათვის, იმისათვის რომ ხმა აიმაღლონ მშვიდობის, კლიმატისა და სამართლიანობისათვის.

მხარდამჭერები:

Federal Foreign Office

CIVIL SOCIETY COOPERATION

Декабристы DEKABRISTEN E.V.

თბილისი, 2023

კონტექსტის მიმოხილვა

SDG ინდექსის მიხედვით, 2022 წელს საქართველო 163-დან 51-ე ადგილზეა და 73,4 ქულა აქვს, რაც ოდნავ აღემატება რეგიონის საშუალო მაჩვენებელს (71,6). მდგრად ეკონომიკურ ზრდასთან ერთად, საქართველო ხასიათდება მოსახლეობის დაბერების ტენდენციით, რაც მნიშვნელოვნად აისახება სხვადასხვა სექტორებსა და სფეროებზე, მათ შორის ოჯახის პროდუქტიულობასა და ეკონომიკურ ზრდაზე, ჯანმრთელობასა და სოციალურ დაცვაზე, განათლებასა და დასაქმებაზე.

2014 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა შეადგენს 3,728 მლნ-ს (51,8% ქალი და 48,02% მამაკაცი), ხოლო მოსახლეობის 32% დედაქალაქში ცხოვრობს. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის საშუალო ასაკი არის 39,9 წელი ქალებისთვის და 35 წელი მამაკაცებისთვის, მოსალოდნელია, რომ 65 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 2030 წლისთვის 15,3%-დან 18,9%-მდე გაიზრდება. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში სიცოცხლის ხანგრძლივობა სტაბილურად იზრდებოდა; 2019 წელს ეს იყო 69,8 წელი მამაკაცებისთვის და 78,4 წელი ქალებისთვის. შობადობის საერთო კოეფიციენტი 2.3-დან 2.0-მდე შემცირდა 2014-2019 წლებში; სიკვდილიანობა მერყეობდა 13.6-დან 12.5-მდე 1000 ადამიანზე[1].

მსოფლიო ბანკის 2019 წლის მონაცემებით, საქართველო მიეკუთვნება მაღალი საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების ჯგუფს, მთლიანი შიდა პროდუქტით ერთ სულ მოსახლეზე - 4274,6 აშშ დოლარი. აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მოსახლეობა 2010 წლიდან 2019 წლამდე 17,8 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 19,5%-ს მიაღწია; 2020 წელს ეს მაჩვენებელი 21,3% იყო. ამასთან, ეკონომიკური ზრდის ფონზე, სოციალური უთანასწორობის ინდექსი (ჯინის კოეფიციენტი) საქართველოში კლების ტენდენციით ხასიათდება და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2020 წლის მონაცემებით, იგი მთლიანი შემოსავლის 0,37%-ს შეადგენდა, მაშინ, როცა უმუშევრობის დონემ 18.5%-ს მიაღწია[2].

შესავალი

საქართველო, გაეროს წევრ ქვეყნებთან ერთად, აგრძელებს მდგრადი განვითარების მიზნებისა (SDG) და ამოცანების განხორციელებას 2030 წლისთვის და ცდილობს გააუმჯობესოს ქვეყნის პოლიტიკა მომავლის საერთო ხედვისკენ. განისაზღვრა მდგრადი განვითარების 17 მიზანი და 93 ამოცანა, როგორც ეროვნული პრიორიტეტები და შემუშავდა 200 ინდიკატორი.

SDG-ის მიზნები თანმიმდევრულად და შეგნებულად იქნა შეტანილი სახელმწიფო პოლიტიკის დღის წესრიგში პირველადი ეროვნული მიზნებისთვის. აღნიშნული გარკვეულწილად ასახავს SDG-ებისათვის მინიჭებულ პოლიტიკურ პრიორიტეტს, რაც ითვლება შესამჩნევ გაუმჯობესებად SDG Tracker სისტემის განვითარებასთან ერთად. აღსანიშნავია, რომ განათლების სექტორი იმ მცირერიცხოვანთა შორის იყო, რომელმაც 2022 წელს SDG მიზნების პოლიტიკისა და საბიუჯეტო დოკუმენტებში ინტეგრირება მოახდინა.

საქართველომ მიაღწია თითქმის უნივერსალურ მონაწილეობას დაწყებით და საბაზო განათლებაში; თუმცა, მიუხედავად ზრდის ტენდენციისა, ჩარიცხვის მაჩვენებელი უფრო დაბალია საშუალო საფეხურზე, დიდი ვარიაციით სკოლის ადგილმდებარეობის მიხედვით[3].

---

[1] ჭითანავა და რუიჯინი, 2017

[2] საქსტატი, 2022 წ.

[3] იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტი, 2020

მიუხედავად მნიშვნელოვანი პროგრესისა, განათლების ყველა საფეხური მნიშვნელოვანი გამოწვევებით ხასიათდება, რომლებიც გამოიხატება სწავლის დაბალ შედეგებში (საქართველო EECCA-ს[4] ყველა ქვეყანაზე უარესია კითხვაში, მათემატიკასა და მეცნიერებაში და ჩამორჩება OECD-ის უმეტეს ქვეყნებს).

ეს კონკრეტული ანგარიში ფოკუსირებულია SDG 4-ის განხორციელებაზე საქართველოში და მოიცავს 2020 წლის მეორე ნებაყოფლობითი ანგარიშის გამოქვეყნების პერიოდს. კონკრეტულად, ანგარიში აანალიზებს 4.g1 ამოცანას - 2030 წლისთვის კვლიფიციური მასწავლებლების რაოდენობის მნიშვნელოვნად გაზრდა, მათ შორის მასწავლებელთა ტრენინგის მიზნით საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით.

ანგარიში აგებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მისი შესაბამისი უწყებების მიერ მოწოდებულ სტატიკურ და ხელმისაწვდომ მეორად მონაცემებზე. ამავდროულად, ანგარიში ეყრდნობა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ ჩრდილოვანი ანგარიშებს, კვლევებსა და პოლიტიკის დოკუმენტებს. მომდევნო თავები აღწერს მთავარ საკითხებსა და გამოწვევებს მიზნებთან დაკავშირებით. ბოლო თავი კი, ეძღვნება რეკომენდაციებს სამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის.

ძირითადი მიღწევები

მასწავლებელთა ხარისხი არის მთავარი წინაპირობა SDG 4-ის ნებისმიერი ამოცანის მისაღწევად. აქედან გამომდინარე, მასწავლებელთა შენარჩუნებისა და განაწილების პრაქტიკა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს განათლებაში თანასწორობისა და ხარისხის საკითხებზე. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და საქართველოს მთავრობამ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022-2030-ის ფარგლებში, აიღეს პასუხისმგებლობა ზოგადი განათლების სისტემის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებასა და ხარისხიან განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე. ამ მხრივ, ხარისხიან მასწავლებლებზე ხელმისაწვდომობა ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია სწავლის ხარისხისა და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებისათვის.

ზემოაღნიშნული მიზნებისთვის ლოკალიზებული ინდიკატორია შემდეგი - ***„4.g.1. სკოლამდელი განათლების და საჯარო სკოლების მასწავლებლების პროცენტული რაოდენობა დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე რომლებსაც აქვთ შესაბამისი განათლება და/ან გავლილი აქვთ მინიმუმ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების (ანუ პედაგოგიური) ტრენინგი.“*** მიზნის დასრულების თვალსაზრისით, ეს კონკრეტული მიღწეული იქნა 2018 წლისთვის, თუმცა არსებული მონაცემებით, 2019 წლისთვის მასწავლებელთა რაოდენობა ოდნავ შემცირდა 92%-მდე, რაც ძირითადად გამოწვეული იყო დაწყებითი და სკოლამდელი განათლების დაწესებულებების პერსონალის სტატისტიკის დამატებით. გარდა ამისა, მასწავლებელზე ორიენტირებული მხარდამჭერი მექანიზმებისა და სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, გაუქმდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა. აღნიშნული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი იყო სკოლების ავტორიზაციის პროცესის დასაწყებად.

2019 წელს მასწავლებელთა პროფესიონალიზაცია ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება გახდა. კონკრეტულად, მასწავლებელთა როტაციის სისტემის განვითარება. ამ მიზნით, უფროს პრაქტიკოს მასწავლებლებს (65+ ასაკი) შესთავაზეს 2 წლის ანაზღაურების კომპენსირება, კარიერის დასრულების სანაცვლოდ.

---

[4] EECCA - აღმოსავლეთ ევროპა, კავკასია და ცენტრალური აზია

ჯამში, 6000-მა მასწავლებელი დათანხმდა შემოთავაზებას და 2000 ახალი მასწავლებელი შემოვიდა სისტემაში. მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციას ასევე ხელი შეუწყო ხელფასის ეტაპობრივმა ზრდამაც. 2016-2022 წლებში საშუალოდ 20%-ით გაიზარდა სკოლის დირექტორების, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის, მათ შორის სკოლის ექიმებისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტების ანაზღაურება.

საერთო ჯამში, 62,000-მდე მასწავლებელია დასაქმებულია საჯარო და კერძო სკოლებში, რომლებიც განაწილებული არიან სერტიფიცირებისა და მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის მიხედვით.

მასწავლებელთა მხრიდან ერთი სტატუსიდან მეორეზე გადასვლა მასწავლებლის ხარისხის გაუმჯობესების არაპირდაპირ ინდიკატორად არის მიჩნეული. შესაბამისად, 2019 წლიდან ეწყობა დამატებითი სასერტიფიკატო ტრენინგები და გამოცდები.
ერთი სტატუსიდან მეორეში გადასული მასწავლებლები გამოყენებული არიან მასწავლებლის ხარისხის გაუმჯობესების არაპირდაპირ ინდიკატორად; შესაბამისად, 2019 წლიდან ტარდება დამატებითი სასერტიფიკაციო ტრენინგები და გამოცდები.

Teachers (total), Public schools and Private schools (2015-2023)



Source: Ministry of Education and Science, 2023

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ზემოაღნიშნულმა ძალისხმევამ გამოიწვია ყველაზე დაბალი სტატუსის მქონე მასწავლებლების (პრაქტიკოსი) რაოდენობის მნიშვნელოვნად შემცირება. რაც შეეხება უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, ქართველი მასწავლებლები ჩართულნი არიან განათლების სამინისტროს ან მასწავლებლის სახლის მიერ შემუშავებულ და ადმინისტრირებულ სავალდებულო ტრენინგ მოდულებში, თუმცა მხოლოდ ბოლო წლებში (2022) გახდა ხელმისაწვდომი არაქართულენოვანი მასწავლებლებისთვის გამოცდების ჩაბარება საკუთარ ენაზე. ეს არის გამოცდები, რომლებიც მასწავლებელს საშუალებას აძლევს აიმაღლონ მასწავლებლის სტატუსი.



Authors own calculation, based on the multiple ,2023

ძირითადი გამოწვევები SDG4-ის მისაღწევად

იუნესკოს გაანგარიშებით, 2030 წლისთვის სრულად უფასო, თანასწორი და ხარისხიანი დაწყებითი განათლების მისაღწევად 24,4 მილიონი მასწავლებელი იქნება საჭირო[5]. სიტუაციას ამწვავებს მასწავლებელთა პროფესიიდან გადინების მაღალი მაჩვენებლები, რომლებიც ზოგიერთ ქვეყანაში აღემატება რეკრუტირების მაჩვენებელს[6]. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მასწავლებელთა ბრუნვაზე გარკვეული დადებითი გავლენის მიუხედავად, გამოწვევაა მასწავლებელთა ხარისხის, მიწოდებისა და განაწილების საკითხები[7]. ამ თავში განვიხილავთ სამ მთავარ გამოწვევას, რომელთა გადაჭრაც აუცილებელია მიზნის მისაღწევად.

კვალიფიციურ მასწავლებელთა მიწოდება და განაწილება

პირველ რიგში, საქართველოს მისადაგებული/ეროვნული ინდიკატორი და სამიზნე მაჩვენებელი - 4.გ.1. სკოლამდელი განათლების და საჯარო სკოლების მასწავლებლების პროცენტული რაოდენობა დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე რომლებსაც აქვთ შესაბამისი განათლება და/ან გავლილი აქვთ მინიმუმ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების (ანუ პედაგოგიური) ტრენინგი - შეუსაბამოა და ვეღარ წარმოადგენს ერთადერთ ინდიკატორს კვალიფიცური მასწავლებლებისა და განაწილების კუთხით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მიზანი 92%-ით მიღწეულია მაშინ, როცა საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში კადრები არასაკმარისი ან არასათანადოდ განაწილებულია[8]. კვალიფიციური მასწავლებლების დეფიციტია განსაკუთრებით ცენტრისაგან დაშორებულ ადგილებში, ასევე არაქართულენოვან სკოლებში, განსაკუთრებით STEM საგნებში. მასწავლებელთა დეფიციტი იწვევს მასწავლებლების მიერ სხვადასხვა საგნის სწავლების გაერთიანების პრაქტიკას ან ნაკლებად კვალიფიციური კანდიდატების განაწილებას. არაქართულენოვან მასწავლებლებში, რომლებიც მასწავლებელთა 10%-ს შეადგენენ, ყველაზე მაღალია მასწავლებელთა რაოდენობა მხოლოდ ზოგადი ან პროფესიული განათლებით, მაშინ როცა ქართულენოვან მასწავლებელთა უმრავლესობას მინიმუმ ბაკალავრიატის ხარისხს მაინც ფლობს.

---

[5] UIS-UNESCO, 2016
[6] UIS-UNESCO, 2016
[7] OECD 2019; მსოფლიო ბანკი 2022
[8] მსოფლიო ბანკი, 2022

გრძელვადიანი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული დაგეგმვის ნაკლებობა:

სრული ზოგადი განათლება (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) არის განათლების სისტემის უდიდესი ქვე-სექტორი, რომელმაც მნიშვნელოვანი სისტემური რეფორმები განიცადა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, თუმცა მასწავლებელთა მიმართ პოლიტიკა კვლავ მოკლებულია მტკიცებულებებზე დაფუძნებული და გრძელვადიანი დაგეგმვას. მასწავლებელთა დაქირავებისა და გაყვანის გრძელვადიანი გეგმა ჯერ არ არის შემუშავებული, მიუხედავად იმისა, რომ ვაკანტური ადგილების შევსების საკითხი მყისიერად წამოიჭრა მასწავლებელთა 10%-ის პენსიაზე გასვლის შემდეგ. ამავდროულად, საკმაოდ მაღალია მასწავლებელთა საშუალო ასაკიც. 2016–2017 წლიდან 2022–2023 სასწავლო წლამდე მნიშვნელოვნად გაიზარდა მასწავლებელთა ასაკი. შესაბამისად, მკვეთრად შემცირდა 40 წლამდე მასწავლებელთა რაოდენობა და კონკრეტული წილი. თუ 2016–2017 სასწავლო წელს 40 წლამდე მასწავლებელთა რაოდენობა 15 277 იყო, ბოლო სასწავლო წლისთვის მათი რაოდენობა მხოლოდ 11 616 იყო. საბუნებისმეტყველო საგნებს ახასიათებს 60 წელზე უფროსი მასწავლებლების მაღალი წილი (ფიზიკა 38%, ქიმია 33%, ბიოლოგია 28,4%, ასევე მათემატიკა 29%)[9].

ერთადერთი სრულმასშტაბიანი ანალიზი, რომელიც მხარს უჭერდა და წარმართავდა ამ სახის პოლიტიკის გადაწყვეტილებებს და მის განხორციელებას, 2008 წელს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა განახორციელა. მასწავლებელთა მოთხოვნის ტენდენციები გაანალიზდა ახლად შემუშავებული ფორმულების საფუძველზე და დაიგეგმა რამდენიმე სცენარი. პროგნოზირებული იყო, რომ 2018 წლისთვის დაახლოებით 20 000 ახალი მასწავლებელს დასჭირდებოდა გადამზადება და განაწილება. გარკვეულ საგნებში (მაგ., ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა და ისტორია) მოსალოდნელი იყო მასწავლებელთა ჭარბი რაოდენობა. თუმცა, მიუხედავად ამ საგნებში მასწავლებელთა სიჭარბისა, შესაძლოა რეგიონული პერსპექტივით განსხვავებული სურათი გვქონდეს და ზოგიერთ საგანმანათლებლო დარგში მასწავლებლის ვაკანსია არ შეივსოს.

მასწავლებლის პროფესიის მარეგულირებელი ჩარჩო, მასწავლებელთა პროფესიონალიზაციის მონიტორინგისა და შეფასების შესაბამისი სახელმწიფო მაჩვენებლებით, ჯერ არ არის განახლებული, რაც ამცირებს მასწავლებელთა მომზადებისა და გადამზადების პროგრამების ეფექტურობას.

ზოგადად, მასწავლებლის მოსამზადებელ პროგრამებს არ გააჩნია მაგისტრატურის სტუდენტის სტანდარტი[10], პროგრამები არ არის განახლებული და ვერ აკმაყოფილებს როგორც მომავალ მასწავლებელთა ასევე სასკოლო თემის მოთხოვნებს[11]. ამავე თვალსაზრისით, ქართველ მასწავლებლებს არ სურთ მონაწილეობა მიიღონ პროფესიული განვითარების არასავალდებულო პროგრამებში და მათი დაახლოებით 1/3 საერთოდ არ არის ჩართული არც მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემაში და არც სქემის გარდა დამატებით აქტივობებში[12]. პროფესიული განვითარების აქტივობებში მონაწილეობის შემაფერხებელ პირობებს შორის ყველაზე ხშირია მსგავს საქმიანობაში მონაწილეობის ხელშემწყობი პირობების არარსებობა. კერძოდ, გამოკითხულ მასწავლებელთა თითქმის 36%-ს მიაჩნია, რომ ეს არის მიზეზი, რომელიც აფერხებს მათ მონაწილეობას პროფესიული განვითარების აქტივობებში[13].

სახელმწიფო აუდიტის ანგარიშის მიხედვით, 2019 წელს 17 390 მასწავლებელმა (29%) განაცხადა, რომ ბოლო 3 წლის განმავლობაში ტრენინგი არ გაუვლია. მასწავლებელთა მონაწილეობა პროფესიულ განვითარებაში კიდევ უფრო დიდი პრობლემაა არაქართულენოვან თემებში[14]. გადაუმზადებელი მასწავლებლების რაოდენობა ყველაზე მაღალია ქვემო ქართლში, რითიც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ არასაკმარისად გადამზადებული მასწავლებლების უმრავლესობა შეიძლება აზერბაიჯანელი მასწავლებლები იყვნენ.

---

9 CCIR, 2023

10 OECD, 2019

11 OECD, 2019

12 TALIS, 2018; OECD, 2019; ეროვნული აუდიტის სამსახური, 2021

13 NAEC, 2018

14 ადეიშვილი და სხვები, 2022

ამ პროგნოზის სასარგებლოდ კიდევ ერთი არგუმენტი არის ის, რომ 2020-2021 სასწავლო წლის განმავლობაში სომხური და აზერბაიჯანული სკოლების 150-მდე მასწავლებელი და სკოლის დირექტორი მონაწილეობდა „Microsoft Teams“ აპლიკაციის ძირითადი ფუნქციების გამოყენების შესახებ ტრენინგში და დაახლოებით 60 ბილინგვური სწავლების ასისტენტი გადამზადდა. იმის გათვალისწინებით, რომ 2021 წლის მდგომარეობით აზერბაიჯანულ და სომხურ სკოლებში სულ 5820 მასწავლებელია დასაქმებული, აღნიშნული ტრენინგის ფარგლებში მომზადებული მასწავლებლებისა და სკოლის დირექტორების რაოდენობა განსაკუთრებით მცირეა[15]. აზერბაიჯანელი მასწავლებლების პროგრამებში მონაწილეობის დაბალი მოტივაცია შეიძლება იყოს ბილინგვური პროგრამების ასევე დამატებითი დამხმარე/წამახალისებელი სქემების ნაკლებობა, რაც მათ მოტივაციას მისცემს ეძებონ და განაგრძონ პროფესიული განვითარება, გააუმჯობესონ სასწავლო პრაქტიკა და აიმაღლონ პროფესიული სტატუსი.

რეკომენდაციები

მიმოხილვითი ანგარიში და წარმოდგენილი რეკომენდაციები ეფუძნება მასწავლებლებთან, მასწავლებელთა პროფესიულ ორგანიზაციებთან, ჯგუფებთან და განათლების სპეციალისტებთან ერთობლივ დისკუსიებს. წარმოდგენილი დისკუსიები მოიცავს რამდენიმე საშუალოვადიან ინტერვენციას, რომელიც შესაძლებლობას მისცემს გადაწყვეტილების მიმღებებს, რათა ხელი შეუწყონ პროგრესს შესაბამისი SDG მიზნის განხორციელებისკენ.

- **პირველ რიგში, მასწავლებლების პროფესიული იმიჯი და სტატუსი უნდა გაუმჯობესდეს.**

  ეს მნიშვნელოვანია, როგორც მასწავლებლების მოსაზიდად, ასევე მათი პროფესიაში შენარჩუნებისა და იმედგაცრუების თავიდან ასაცილებლად. COVID-19-ის პანდემიამ აჩვენა, რომ მშობლებმა უფრო მეტად დააფასეს მასწავლებლების შრომა მას შემდეგ, რაც სკოლებმა აირჩიეს ონლაინ სწავლება, რამაც, სკოლის დირექტორების თქმით, დადებითად შეცვალა კლიმატი ბევრი მიმართულებით. შემოთავაზებული ინტერვენციები შეიძლება იყოს: იმ საზოგადოებრივი ინიციატივების მხარდაჭერა, რომლებიც ცდილობენ მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციას; საკომუნიკაციო სტრატეგიების დახვეწა და მედიისათვის ინფორმაციის იმგვარად მიწოდება, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი მასწავლებელთა სტიგმატიზაცია; ტელესკოლის პროექტის შესაძლებლობების გაზრდა, რათა გახდეს მასწავლებელთა ერთ-ერთი საკვანძო საკომუნიკაციო პლატფორმა.

- **კომპეტენტური მასწავლებლების დაქირავება და შენარჩუნება სკოლებში.**

  მნიშვნელოვანია მექანიზმის შემუშავება და მასწავლებელთა მიწოდებისა და მოთხოვნის ტენდენციების შეფასება, ასევე მასწავლებლების რეგიონში განაწილების ,მათ შორის, სქესის, ასაკისა და საგნების მიხედვით. ანალიზის საფუძველზე უნდა შემუშავდეს შესაბამისი გრძელვადიანი და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები, რომლებიც განსაზღვრავს სტრატეგიებს მასწავლებელთა მიწოდების საკითხების გადასაჭრელად და უზრუნველყოფს მასწავლებელთა შეუფერხებელ გადაჯგუფებასა და მობილობას. როგორც სკოლამდელ, ისე დაწყებით განათლებაზე გაზრდილი მოთხოვნისა და მასწავლებელთა შერჩევის კრიტერიუმების გათვალისწინებით, საჭიროა სწრაფი მომზადება პროფესაში შესასვლელად და უფრო ინტენსიური მხარდაჭერა სკოლის ბაზაზე.

---

15 საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი, 2021

16 ქადაგიძე, 2021

ამ შემთხვევაში, რისკის შერბილება შესაძლებელია გამოსაცდელი პერიოდის სავალდებულო გახდომით და დამწყები მასწავლებლებისთვის მეტი მხარდაჭერით.

ნიშანდობლია, რომ 2022-2024 წლების სასკოლო განათლების მიმართულებით არსებულ სამოქმედო გეგმაში ერთ-ერთ პრიორიტეტად განისაზღვრა მოსამზადებელი პროგრამების ხარისხისა და ადმინისტრირების გაუმჯობესება. მნიშვნელოვანი იქნება პრაქტიკის გაძლიერება უმცირესობათა სკოლებშიც და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მხარდაჭერა.

მრავალფეროვანი და აკრედიტებული მასწავლებელთა განათლების პროგრამები: მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობების დივერსიფიკაცია მნიშვნელოვანია პროგრამების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. მიმდინარე პოლიტიკა და პრაქტიკა უნდა გადავიდეს ცენტრალიზებული მმართველობიდან უფრო დეცენტრალიზებულ მოდელზე, რაც შექმნის შესაძლებლობას გააძლიეროს მასწავლებელთა პროფესიული ორგანიზაციები და შეიმუშაოს უფრო ხელმისაწვდომი და მორგებული პროგრამები. პროფესიული განვითარების პროგრამების ხარისხის შემცირების რისკის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა შესაბამისი მარეგულირებელი და აკრედიტაციის მექანიზმების დანერგვა.

როგორ შეიძლება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა ხელი შეუწყონ მიზნის განხორციელებას?

საჭიროა გაძლიერდეს მთავრობის ძალისხმევა მიზნების შეუფერხებლად განხორციელებისათვის. ამავდროულად, მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლის გადახედვა და გაძლიერება. მასწავლებელთა პოლიტიკასთან და კონკრეტულად ამ მიზანთან დაკავშირებული ძირითადი გამოწვევების განხილვის შემდეგ, ჩვენ ჩამოვაყალიბეთ ორი რეკომენდაცია საზოგადოებრივი სექტორისათვის, რომელსაც შეუძლია მხარი დაუჭიროს არა მხოლოდ SDG მიზნის განხორციელების პროცესს, არამედ გააძლიეროს მასწავლებელთა საზოგადოება და განათლების ადვოკატირების კამპანიები საქართველოში.

ერთობლივი ადვოკატირების კამპანია მასწავლებელთა პოლიტიკის გასაუმჯობესებლად.

განათლების ეკოსისტემა საქართველოში ათწლეულების განმავლობაში რყევებს განიცდის, რაც გავლენას ახდენს სექტორში პოლიტიკის ადვოკატირების საერთო შესაძლებლობებზე. აქედან გამომდინარე, საჭიროა რომ მასწავლებელთა პროფესიული ორგანიზაციები, ასოციაციები და პოლიტიკაზე ორიენტირებული საზოგადებრივი ორგანიზაციები აქტიურად ჩაერთონ კოორდინაციაში, მათ შორის ადვოკატირების კუთხით, რათა უზრუნველყონ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები პოლიტიკის ყურადღების ცენტრში მოექცეს. რაც შეეხება მდგრადი განვითარების მეოთხე მიზანსა და კონკრეტულად 4.გ ამოცანას, სასარგებლო იქნებოდა პანელური დისკუსიების ორგანიზება ამ საკითხზე ძირითადი რეკომენდაციების შემუშავების მიზნით. ეს პროცესი ასევე შეიძლება განხორციელდეს საქართველოში SDG-ების განხორციელების ახლად მიღებული სამოქმედო გეგმის ფარგლებში. ამ პროცესის მეშვეობით, რამდენიმე ერთობლივი აქტივობა შეიძლება შეთანხმებული, ინტეგრირებული და დამტკიცებული იყოს ყველა დაინტერესებული მხარის მიერ.

- **მოყურადე (watchdog) პრაქტიკების გაძლიერება და მასწავლებელთა გააძლიერე მცველის პრაქტიკა და უზრუნველყოს მასწავლებელთა ხმების მოსმენა.**

  საზოგადოებრივ სექტორს შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს SDG-ის განხორციელების პროცესში და კონკრეტულად მეოთხე მიზნის მიღწევაში, ჩრდილოვანი მონიტორინგის პრაქტიკის შემუშავებისა და ანალიტიკური ინფორმაციის რეგულარულად მიწოდების გზით. ეს სასარგებლო იქნება არა მხოლოდ საქართველოში განათლების საზოგადოების, არამედ საერთაშორისო პარტნიორების ინფორმირებისთვის, რომლებიც მხარს უჭერენ განათლების სექტორს და კონკრეტულად მასწავლებლებს. გარდა ამისა, საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ მასწავლებლები და მისცენ მათ პლატფორმა ისაუბრონ თავიანთ პროფესიულ საჭიროებებზე და იყვნენ პროაქტიულები იმ პოლიტიკის შემუშავებაში, რომელიც პირდაპირ გავლენას მოახდენს მათ საქმიანობაზე. ეს შეიძლება მოგვარდეს მასწავლებელთა თანამშრომლობის მხარდაჭერით და მათთვის უსაფრთხო და დამხმარე პლატფორმების შექმნით, რათა ღიად განიხილონ თავიანთი გამოწვევები და მობილიზდნენ თავიანთი მიზნების ადვოკატირებისთვის.

ბიბლიოგრაფია

- სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი (CCIIR). (2023). რა უნდა ვიცოდეთ მასწავლებლების შესახებ საქართველოს სკოლებში https://cciir.ge/images/Analyrical_Bulletin_version.pdf

- ადეიშვილი, გ., საღარეიშვილი, მ., ჟამურაშვილი, ლ. (2022). განათლების სექტორის მიმოხილვა: ეთნიკური უმცირესობების და სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიცირება (2022).

- ქადაგიძე, მ. (2021). COVID19-ის გავლენა სასკოლო განათლების სისტემაზე: პანდემიით გამოწვეული სასწავლო დანაკარგების შეფასება. განათლების კოალიცია.
  Li, R., et al. (2019), OECD Reviews of Evaluation and Assessment in Education: Georgia, OECD Reviews of Evaluation and Assessment in Education, OECD Publishing, Paris, https://doi.org/10.1787/94dc370e-en

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2022). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022 – 2030. https://matsne.gov.ge/ka/document/view/5557675?publication=0

- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. (2020). პანდემია და ზოგადი განათლება საქართველოში. https://mes.gov.ge/mesgifs/1609239131_2020_Angarishi.pdf

- Mizunoya, Suguru & Amaro, Diogo & Mishra, Sakshi. (2020). Georgia: Education Fact Sheets | 2020 Analyses for learning and equity using MICS data. Retrieved from:
  საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2023). მასწავლებელთა რაოდენობა. https://www.geostat.ge/ka

- შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. (2020ა) მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა PISA 2018: საქართველოს ანგარიში. https://naec.ge/uploads/postData/20-21/kvlevebi/PISA2018-Georgia%20(1).pdf

- შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. (2020ბ) სწავლებისა და სწავლის საერთაშირისო კვლევა. https://www.naec.ge/uploads/postData/20-21/kvlevebi/TALIS2018-Georgia%20(1).pdf

- Rigolini, I. P., Yener, A. L., Abramishvili, Z., Abuladze, I., Asatiani, E., Cetinkaya, V., ... & Moroshkina, N. V. (2022). Georgia-Human Capital Review https://drive.google.com/drive/u/0/folders/1GJ9uTHwujvadmM_G-TlUfqMEcGvS82ef

- Ruijn, B. D., & Chitanava, M. (2017). Ageing and Older Persons in Georgia - An Overview Based on the 2014 General Population Census Data. Tbilisi: National Statistics Office of Georgia and United Nations Population Fund (UNFPA) Office in Georgia

- სახელმწიფო აუდიტის სამსახური. (2021). მასწავლებელთა პროფესიული განვითარების აუდიტის ანგარიში: 2017-2019.

- იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტი (2016). მსოფლიოს სჭირდება თითქმის 69 მილიონი ახალი მასწავლებელი 2030 წლის განათლების მიზნების მისაღწევად. https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000246124

- იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტი (2020). საქართველოს პროფილი, SDG4 https://education-profiles.org/northern-africa-and-western-asia/georgia/~georgia